

Contents

მომხმარებლის როლები და პროფილები.....1

 მომხმარებლებისთვის წვდომის უფლებების განსაზღვრა.....2

 როგორ შეექმნა წვდომის ჯგუფის პროფილი3

 მოქმედებები როლებზე.....3


 წვდომის ჯგუფების შექმნა8

მომხმარებლის როლები და პროფილები

მომხმარებლებისთვის სამუშაო ინტერფეისისა და პროგრამის ობიექტებზე უფლებების განსაზღვრა შესაძლებელია კომპანიაში მათი უფლება-მოვალეობების შესაბამისად. ამისათვის აუცილებელია ფუნქციონალური ოფციის „მომხმარებლების როლების გამოყენება“ (ადმინისტრირება >მომხმარებლების პარამეტრები და უფლებები) ჩართვა.

მომხმარებლების უფლებების ადმინისტრირების მექანიზმი ორგანიზებულია შემდეგნაირად:

1. მომხმარებლები ერთიანდებიან წვდომის ჯგუფებში. შესაძლებელია ერთი მომხმარებლის რამდენიმე ჯგუფში გაერთიანება
2. წვდომის ჯგუფს ენიშნება „წვდომის უფლებების პროფილი“, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებს პროგრამის ობიექტებზე. პროფილის შესაბამისად განისაზღვრება მომხმარებლის ინტერფეისიც.



პროგრამაში წინასწარ შექმნილია წვდომის ჯგუფები და პროფილები ქვესისტემების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი მოდიფიცირება ან ახლის შექმნა.

როგორც სქემაზეა მითითებული შესაძლებელია ერთი მომხმარებელი იყოს რამდენიმე წვდომის ჯგუფში გაერთიანებული, ამ შემთხვევაში წვდომის ჯგუფების (პროფილების) შესაბამისი უფლებები შეიკრიბება.

ნოუტი: ფუნქციონალური ოფციის ჩართვის დროს არსებული მომხმარებლები ავტომატურად ხვდებიან ადმინისტრატორების ჯგუფში და ენიჭებათ სრული უფლებები. მათი გადასმა უნდა მოხდეს შესაბამის ჯგუფებში კომპანიაში მათი როლების შესაბამისად.

მომხმარებლებისთვის წვდომის უფლებების განსაზღვრა

- ძირითად მენიუში აირჩიეთ „ადმინისტრირების“ ქვესისტემა
- აწყობების ჯგუფიდან აირჩიეთ პუნქტი „მომხმარებლების პარამეტრები და უფლებები“
- დააჭირეთ ლინკს „წვდომის ჯგუფები“

დასახელება	პროფილი
ადმინისტრატორები	ადმინისტრატორი
აუდიტორი	აუდიტორი
გაყიდვები	გაყიდვები
მთავარი ბუღალტერი	მთავარი ბუღალტერი
საწყობი	საწყობი
ფულადი სახსრები	ფულადი სახსრები
შესყიდვები	შესყიდვები
ძირითადი საშუალებები	ძირითადი საშუალებები
წარმოება	წარმოება
ბელუფასები	ბელუფასები

- გახსენით სასურველი წვდომის ჯგუფის ბარათი ან დაამატეთ ახალი ([როგორ დავამატო წვდომის ჯგუფი](#))
- ცხრილში „მონაწილეები“ აირჩიეთ სასურველი მომხმარებლები
- დააჭირეთ „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“ ლილავს.

მომხმარებლის ჩასმა სასურველ წვდომის ჯგუფში ასევე შესაძლებელია მომხმარებლის ბარათიდან „წვდომის უფლებების“ ჩანართზე „წვდომის ჯგუფების“ ცხრილში სასურველი ჯგუფების დამატებით.

ნოუტი: იმ შემთხვევაში თუ როლების გამოყენების ჩართვამდე გყავდათ დარეგისტრირებული მომხმარებლები, საჭიროა მათი წაშლა „ადმინისტრატორების“ ჯგუფის მონაწილეების ცხრილიდან.

როგორ შევქმნა წვდომის ჯგუფის პროფილი

- ძირითად მენიუმში ადმინისტრირების ქვესისტემაში, აწყოების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „მომხმარებლის პარამეტრები და უფლებები“
- დააჭირეთ ლინკს „წვდომის ჯგუფები და პროფილები“
- დააჭირეთ ლილასს „შექმნა“
- ველში „დასახელება“ ჩაწერეთ სასურველი წვდომის ჯგუფის პროფილის სახელი
- ჩაურთეთ შესაბამისი როლები

ობიექტი	დამატება და ცვლილება	წაკითხვა
ფულადი სასრები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
საგადახდო დავალება	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საღაროს გასვლის ორდერი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
საღაროს შემოსავლის ორდერი	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ფულის გასვლა ბანკიდან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ფულის შემოსვლა ბანკში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

როლები დაყოფილია სამ ჯგუფად და განთავსებულია შესაბამის ჩანართებზე

1. დოკუმენტები - პროგრამაში არსებული ყველა დოკუმენტისათვის შესაძლებელია შემდეგი როლების ჩართვა/გამორთვა
 - დამატება და ცვლილება
 - წაკითხვა
 2. ანგარიშგებები/დამუშავები - პროგრამაში არსებული ანგარიშგებების ჯგუფებისა და დამუშავებებისთვის შემდეგი როლების ჩართვა/გამორთვა
 - გამოყენება
 3. ცნობარები - პროგრამაში არსებული ცნობარებისათვის შემდეგი როლების ჩართვა/გამორთვა
 - დამატება და ცვლილება
 - წაკითხვა
- დააჭირეთ ლილასს „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“

მოქმედებები როლებზე

- თუ გსურთ ჩანართზე ყველა როლის ჩართვა „დამატება და ცვლილება“ ან „წაკითხვა“ დააჭირეთ ლილასს „როლების ჩართვა“ (1) და აირჩიეთ შესაბამისი მოქმედება
- თუ გსურთ ჩანართზე ყველა როლის გამორთვა „დამატება და ცვლილება“ ან „წაკითხვა“ დააჭირეთ ლილასს „როლების გამორთვა“ (2) და აირჩიეთ შესაბამისი მოქმედება

- „მხოლოდ არჩეული როლები“ (3) ღილაკზე დაჭერით ჩანართზე გამოჩნდება მხოლოდ ის როლები, რომლებზეც ჩართულია ალამი (ალმები)
- „ქვესისტემების მიხედვით“ (4) ღილაკზე დაჭერით ჩანართზე არსებული როლები დაჯგუფდება პროგრამაში არსებული ქვესისტემების მიხედვით

← → **წვდომის ავტორიზაციის პროფილი (შექმნა)** ×

ძირითადი **წვდომის ავტორიზაცია**

ჩაწერა და დაბრუნება **ჩაწერა** კიდევ ▾

დასაბეჭდება:

ავტორი (საქმიანობა): ▾

დოკუმენტები ანგარიშები / დამოუკიდებელი ცნობარები სხვა უფლებები გაყოფის წესები კომენტარი

როლების ჩართვა ▾ როლების გამორთვა ▾ მხოლოდ არჩეული როლები ქვესისტემების მიხედვით კიდევ ▾

ობიექტი	დამატება და ცვლილება	წაიცილება
RS <ul style="list-style-type: none"> დღე-ის დარიცხვა მიღებულ ავანსზე ბულ. ოპერაციები <ul style="list-style-type: none"> ავანსის თანხის გადატანა ავანსის ანგარიშზე (ლარი) ბუღალტრული ოპერაციები დავალიანების დაფარვა ავანსის ოდენობის მიხედვით მოგება-ჩარჯის ანგარიშების დაბრუნება საკუთრებო საშუალებების გადაფასება სტორნი ტიპიური ოპერაციები გაყოფები <ul style="list-style-type: none"> ანგარიშება საცალო გაყოფებზე ... 	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მაგალითი: კომპანიას სურს შექმნას მოლარე-ოპერატორის პროფილი, რომელსაც ექნება შეზღუდული უფლებები. მას უნდა შეეძლოს გაყიდვის ოპერაციების დაფიქსირება და ზედნადებისა და ფაქტურის გამოწერა.

← → ☆ მოლარე-ოპერატორი (წვდომის ჯგუფების პროფილი) ×

ძირითადი [წვდომის ჯგუფები](#)

ჩაწერა და დაბრუნება

დასახელება: მოლარე-ოპერატორი

ჯგუფი (საძალადე):

დოკუმენტები ანგარიშგებები / დამუშავებები ცნობარები სხვა უფლებები გაყოფის წესები კომენტარი

როლების ჩართვა მხოლოდ არჩეული როლები ტესისტების მიხედვით

ობიექტი	დამატება და ცვლილება	წყაილება
გაყოფები	✓	✓
კომერციული შეთავაზება	✓	✓
რეაღიზაცია	✓	✓
სასაბუღალტრო ბარათების რეაღიზაცია	✓	✓

კონკრეტულ მაგალითზე ჩანს, რომ მოლარე-ოპერატორს შეუძლია, როგორც ჩამოთვლილი დოკუმენტების წაკითხვა ასევე მათი რედაქტირება.

← → ☆ მოლარე-ოპერატორი (წვდომის ჯგუფების პროფილი) ×

ძირითადი [წვდომის ჯგუფები](#)

ჩაწერა და დაბრუნება

დასახელება: მოლარე-ოპერატორი

ჯგუფი (საძალადე):

დოკუმენტები ანგარიშგებები / დამუშავებები ცნობარები სხვა უფლებები გაყოფის წესები კომენტარი

მხოლოდ არჩეული როლები ტესისტების მიხედვით

ობიექტი	გამოცენა
გაყოფები	✓
გაყოფების დამხმარე	✓

ანგარიშგებებიდან და დამუშავებიდან აქვს მხოლოდ „გაყიდვების დამხმარე“ გამოყენების უფლება

← → ☆ მოლარე-ოპერატორი (წვდომის ჯგუფების პროფილი) *

ძირითადი [წვდომის ჯგუფები](#)

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა კიდევ ▾

დასახელება: მოლარე-ოპერატორი

ჯგუფი (სატყუარა):

დოკუმენტები ანგარიშგებები / დამუშავებები **ცნობარები** სხვა უფლებები წვდომის მუშაუდვა გაყიდვის წესები კომენტარი

როლების ჩართვა ▾ როლების გამორთვა ▾ მხოლოდ არჩეული როლები [ქვესისტემების მიხედვით](#) კიდევ ▾

ობიექტი	დამატება და ცვლილება	წაიშლება
გადახდის ტიპები	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
დღე-ის მიწოდება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ზომის ერთეულები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
მომხმარებლები	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
წომის ანგარიშგება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
საღარი ანგარიშგება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
ფასის ტიპები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>
მთავარი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>

ცნობარების ჩანართზე გადასვლისას შეამჩნევთ, რომ ზოგიერთი ცნობარისათვის წაკითხვის როლი ჩართულია, რადგანაც წინა ჩანართებზე გარკვეული დოკუმენტების ან ანგარიშგებების მონიშვნა იწვევს მასთან დაკავშირებულ ცნობარებზე წაკითხვის როლის ავტომატურ მინიჭებას. ისეთი ცნობარებისთვის, რომლის ბარათზე არსებული ინფორმაციაა მისაწვდომია მისი გახსნის გარეშეც, წაკითხვის როლი მონიშნულია და მისი გამორთვა შეუძლებელია.

მომხმარებლის დამატებითი უფლებები

ასევე გვაქვს „სხვა უფლებების“ ჩანართი შემდეგი ქვესისტემებით:

← → ☆ მოლარე-ოპერატორი (წვდომის ჯგუფების პროფილი) *

ძირითადი [წვდომის ჯგუფები](#)

ჩაწერა და დახურვა ჩაწერა კიდევ ▾

დასახელება: მოლარე-ოპერატორი

ჯგუფი (სატყუარა):

დოკუმენტები ანგარიშგებები / დამუშავებები **ცნობარები** სხვა უფლებები წვდომის მუშაუდვა გაყიდვის წესები კომენტარი

მხოლოდ არჩეული როლები [ქვესისტემების მიხედვით](#) კიდევ ▾

ობიექტი	გამოყენება
ბუღ. ოპერაციები	<input type="checkbox"/>
გარე დამუშავებების და ანგარიშგებების გამოყენება	<input type="checkbox"/>
თვიური მუშაუდვის და რეგლამენტირებული აფრიგების გატარების დათვალერება	<input type="checkbox"/>
გაყიდვები	<input type="checkbox"/>
გასაყიდი ფასის რედაქტირების უფლება	<input type="checkbox"/>
მუქანური ფასდაკლების რედაქტირების უფლება	<input type="checkbox"/>
მომხმარებელთა ინტერნეტ-შარდაჭერა	<input type="checkbox"/>
სიახლეები	<input type="checkbox"/>
სიახლეების რედაქტირება	<input type="checkbox"/>
სიახლეების რედაქტირება	<input type="checkbox"/>
საწყობი	<input type="checkbox"/>
ყველა საწყობის ნაშთების დანახვა	<input type="checkbox"/>
სტანდარტული ქვესისტემები	<input type="checkbox"/>
სახანისო ფუნქციონალიზაცია	<input type="checkbox"/>
სახანო უფლებები	<input type="checkbox"/>

როლები	აღწერა
<p>გარე დამუშავებების და ანგარიშგებების გამოყენება</p>	<p>იმ მომხმარებლებს, რომლებსაც ჩართული აქვთ ეს უფლება, ეძლევათ საშუალება გამოიყენონ გარე დამუშავებები და ანგარიშგებები.</p> <p>მომხმარებლებს, რომელთან არ აქვთ ჩართული ეს უფლება არც ერთ ქვესისტემაში არ გამოუჩნდებათ მენიუს პუნქტები „დამატებითი ანგარიშგებები“ და „დამატებითი დამუშავებები“</p>
<p>თვითღირებულების და რეგლამენტირებული აღრიცხვის გატარებების დათვალიერება</p>	<p>ის მომხმარებლები, რომლებსაც არ აქვთ ჩართული აქვთ ეს უფლება, ვერ შეძლებენ დოკუმენტების ბუღალტრული გატარებების დათვალიერებას, მათ შორის მათსავე გაფორმებულ დოკუმენტებზე. ასევე მათთვის მიუწვდომელი იქნება ჩამოწერილი საქონლის თვითღირებულების მნიშვნელობაც.</p>
<p>გასაყიდი ფასის რედაქტირების უფლება</p>	<p>ის მომხმარებლები, რომლებსაც არ აქვთ ჩართული აქვთ ეს უფლება, გაყიდვის დოკუმენტებში და გაყიდვების დამხმარეში აღარ ექნება გასაყიდი ფასის რედაქტირების უფლება.</p> <p>გაყიდვის დოკუმენტებია: რეალიზაცია, პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია, საცალო ჩეკი, მყიდველის შეკვეთა</p>
<p>მექანიკური ფასდაკლების რედაქტირების უფლება</p>	<p>ის მომხმარებლები, რომლებსაც არ აქვთ ჩართული აქვთ ეს უფლება, გაყიდვის დოკუმენტებში და გაყიდვების დამხმარეში აღარ ექნება „მექანიკური ფასდაკლებისა“ და „ფასი ფასდაკლებით“ ველების რედაქტირების უფლება.</p> <p>გაყიდვის დოკუმენტებია: რეალიზაცია, პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია, საცალო ჩეკი, მყიდველის შეკვეთა</p>
<p>სიახლეების რედაქტირება</p>	<p>იმ მომხმარებლებს, რომლებსაც ჩართული აქვთ ეს უფლება, ეძლევათ საშუალება ააწყონ სიახლეების მიღების ფუნქცია.</p>


ყველა საწყობის ნაშთების დანახვა	იმ მომხმარებლებს, რომლებსაც ჩართული აქვთ ეს უფლება, ეძლევათ საშუალება ნახონ ისეთი საწყობების ნაშთებიც, რომლებზეც არ გააჩნია წვდომა. თუმცა ამ დროს დოკუმენტებში შეზღუდულ საწყობებზე ოპერაციის განხორციელებას კვლავ ვერ შეძლებს.
საბაზო უფლებები	როლის ჩართვით მომხმარებელს გააჩნია არაინტერაქტიული წვდომა სისტემის ძირითად ობიექტებზე.

შენიშვნა:

საბაზისო უფლებები ავტომატურად ჩართულია ყველა პროფილში. მისი გამორთვა საჭირო ხდება იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ჩართულია ორ ან მეტ პროფილში და საჭიროა წვდომის შეზღუდვა მონაცემების დონეზე. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთ პროფილში იქნება ჩართული ეს როლი, დანარჩენ პროფილებში უნდა იყოს გამორთული.

მას შემდეგ რაც წვდომის ჯგუფების პროფილებში მოვნიშნავთ შესაბამის როლებს, შეგვიძლია „წვდომის ჯგუფების“ ლინკზე დაჭერით არსებული პროფილით, შესაბამისი მომხმარებელი ჩავრთოთ „წვდომის ჯგუფში“ ([„წვდომის ჯგუფების“ შექმნა](#)).


მაგილთში განხილული როლების ჩართვის შედეგად, მოლარე-ოპერატორი მ.ბ-ის სისტემაში შესვლისას პროგრამა შემდეგნაირად გამოიყურება.



წვდომის ჯგუფების შექმნა

- ძირითად მენიუში ადმინისტრირების ქვესისტემაში, აწყობების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „**მომხმარებლის პარამეტრები და უფლებები**“
- დააჭირეთ ლინკს „**წვდომის ჯგუფები და პროფილები**“
- დააჭირეთ ლილავს „**შექმნა**“
- „დასახელებაში“ ჩაწერეთ წვდომის ჯგუფის სასურველი დასახელება

- აირჩიეთ სასურველი პროფილი „წვდომის ჯგუფების პროფილების“ ცნობარიდან
- მონაწილეების ჩანართზე დააჭირეთ ღილაკს „შერჩევა“
- დარეგისტრირებული მომხმარებლებიდან შეარჩიეთ მოცემული წვდომის ჯგუფისათვის ერთი ან რამდენიმე მონაწილე
- დააჭირეთ ღილაკს „დასრულება და დახურვა“
- მას შემდეგ რაც არჩეული მომხმარებლები მონაწილეების სიაში აღმოჩნდებიან დააჭირეთ ღილაკს „ჩაწერა“ ან „ჩაწერა და დახურვა“



ქვესისტემები	როლები	აღწერა
	გარე დამუშავებების და ანგარიშგებების გამოყენება	ეს როლი იძლევა საშუალებას, პროგრამის სტანდარტულ ვერსიაში არ მყოფი დამუშავებების გამოყენებისა, რომლებიც ცალკე ფაილიდან არის ჩატვირთული და ისეა პროგრამაში ჩასმული. თუ წვდომის ჯგუფების პროფილზე გამორთულია ეს როლი, ასეთი წვდომის ჯგუფის მომხმარებლისთვის

ბულ. ოპერაციები		<p>დოკუმენტებში: „დამატებითი ანგარიშგებები“, „დამატებითი დამუშავებები“ აღარ ექნება წვდომის უფლება</p>
	<p>თვითღირებულების და რეგლამენტირებული აღრიცხვის გატარებების დათვალიერება</p>	<p>აღნიშნული როლი იძლევა საშუალებას, წვდომის ჯგუფის ისეთი მომხმარებლისთვის, რომლისთვისაც ჩართულია აღნიშნული როლი ქონდეს წვდომა რეგისტრებზე.</p>
ბაყიდვები	<p>გასაყიდი ფასის რედაქტირების უფლება</p>	<p>თუ წვდომის ჯგუფების პროფილზე გამორთულია ეს როლი, ასეთი წვდომის ჯგუფის მომხმარებლისთვის დოკუმენტებში: რეალიზაცია, პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია, ანგარიშგება საცალო გაყიდვებზე და დამუშავებაში „გაყიდვების დამხმარე“ აღარ ექნება გაყიდვის ფასის შეცვლის უფლება და ეს ველი შეზღუდული იქნება მისთვის.</p>